

ბენარის ნამარხი ფაუნა

ბენარის ნამარხი ფაუნა – ნამარხი ფაუნა ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. აბასთუმნისწყლის ხეობაში, სოფ. ბენარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ამაღლებულ გორაზე, ადგილ ზადენის გორაზე. აქ მიკვლეულია ოლიგოცენის ნამარხ ხერხემლიანთა ფაუნის ნაშთები. აქ შედის დასავლეთევროპული და აზიური ელემენტები, რომლებიც ამოწყდა. გადმოცემით, ბენარის მიდამოებში უნდა იყოს მიტოვებული ოქროს მომპოვებელი მადარო, რომელიც რუსეთის ბოლო იმპერატორის – ნიკოლოზ II-ის დროს მუშაობდა. მისი ზუსტი ადგილსამყოფელი ამჟამად მივიწყებულია.

გოდერძის ნამარხი ტყე

გოდერძის ნამარხი ტყე, ძინძეს ხეობის ნამარხი ტყე – ნამარხი ტყე მდ. ქვაბლიანის აუზში, ძინძეს ხეობაში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, გოდერძის უღელტეხილის აღმოსავლეთით. ხეობაში შემორჩენილია მესამეულის განამარხებული ფლორა – „გოდერძის ფლორა“. ამ ადგილს ხალხმა უტყვისუბანი შეარქვა. წარსულში აქ ტროპიკული ტყე ყოფილა გავრცელებული, წარმოდგენილი როგორც მარადმწვანე (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია) ისე ფოთოლმცვენი (ლელვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრი, წიფლისებრი) სახეობებით, ასევე ბუჩქნარებით, ლიანებით და გვიმრისნაირებით. რამდენიმე მილიონი წლის წინ, ჯერ კიდევ ადამიანის გაჩენამდე, ვულკანურმა ღვარმა და ფერფლმა გადაფარა აქ არსებული მძლავრი და სახეობრივად მრავალფეროვანი გაუვალი ტროპიკული ტყე.

მესამეული ფლორის ნაშთები წარმოდგენილია ხის გაქვავებული ღეროებით, ტოტებით, ფოთლების ანაბეჭდებით. ზოგიერთ ხეს შენარჩუნებული აქვს ვერტიკალური მდებარეობა, წრიული ზრდის რგოლები (მიკროსკოპში მოჩანს). იგი უიშვიათესი და უნიკალური ბუნებრივი ძეგლია, თუმცა დღეს იგი იძარცვება. რამდენიმე მილიონი წლის წინ, ჯერ კიდევ ადამიანის გაჩენამდე, ვულკანურმა ღვარმა და ფერფლმა გადაფარა აქ არსებული მძლავრი და სახეობრივად მრავალფეროვანი გაუვალი 90-მდე სახეობის მცენარე. მათ შორისაა მარადმწვანე ხეები (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია), ფოთოლმცვენი ხეები (ლელვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრი, წიფლისებრი), სხვადასხვა სახეობის ბუჩქნარები, ლიანები, გვიმრისნაირები და ბალახოვნები. ზოგიერთი ეს სახეობა (ან მისი მონათესავე) დღეს გავრცელებულია თბილი კლიმატის პირობებში იაპონიაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში.

თეთრობ-ჭობარეთის უნიკალური ფლორა

თეთრობ-ჭობარეთის ქედი – ქედი, კირქვებით აგებული პლატო აჭარა-თრიალეთის კალთაზე. ხასიათდება კირქვების ფართო გავრცელებით. ნიადაგების უმთავრესად ნეშომპალა-კარბონატულია და ქმნის ერთგვარ „ნიადაგურ კუნძულს“ ქმნის. განსაკუთრებით გამოირჩევა ფლორის ენდემური სახეობებით: ერდელის ბუჩქისძირა (*Corydalis Erdelii*), თეთრობის კრაზანა (*Hypericaceae*), კოზლოვსკის ფამფარულა (*Scorzonera Kozlovskiyi*), მასაგეტოვის თავყვითელა (*Senecio Massagetovii*), ყირიმის ასფოდელი (*Asphodeline taurica*), ცრუაღმოსავლური ყაყაჩო (*Papaver pseudo-orientale*), ანხონიუმი (*Anchonium elichrysofolium*) და სხვ.

ოშორის დენუდაციური მოწმეები

ქარისა და წყლის მოქმედებით გამოფიტული რელიეფის სხვადასხვა ფორმები მდ. ოშორის ხეობაში, ასპინძის მუნიციპალიტეტში.